საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის პროექტი

გზამკვლევის სფერო 1. პოლიტიკის შემუშავება და კოორდინაცია

ამოცანა 1.1 — პოლიტიკის შემუშავების, კოორდინაციის და განხორციელების სისტემის დახვეწა და საჯარო მოხელეთა შესაძლებლობების განვითარება პოლიტიკის დოკუმენტების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით

ამოცანის შედეგის ინდიკატორი	საბაზისო 2018:	სამიზნე 2020:	დადასტურების წყარო
1.1.1 მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენილი პოლიტიკის დოკუმენტების წილი, რომელიც აკმაყოფილებს პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების განახლებულ სახელმძღვანელოს მოთხოვნებს	N/A	80%	სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ყოველწლიური ანგარიში
1.1.2 გადამზადებული საჯარო მოხელეების წილი რომლებმაც „წარჩინებით გაიარა ტრენინგი" (completed with distinction - უმაღლესი) სერტიფიკატი მიიღო საჯარო პოლიტიკის საბაზისო მოდულში	N/A	70%	სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ყოველწლიური ანგარიში
რისკები:	მონაცემების შეგროვების სისტემის არ არსებობა; ადამიანური რესურსის ნაკლებობა; გადამზადებული კადრების გადინება		

N	აქტივობა	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	გადამოწმების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ვადა (წელი, კვ.)	ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო: სახელ. ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო: სხვა
1.1.1	პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების მარეგულირებელი და მეთოდოლოგიური (ცვლილებათა) **პაკეტის მომზადება**	**1.1.1.1** სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, დამტკიცების, მონიტორინგის, ანგარიშგებისა და შეფასების **წესი** დამტკიცებულია მთავრობის დადგენილებით	საკანონმდებლო მაცნე	მთავრობის ადმინისტრაცია	პოლიტიკის დაგეგმვის და კოორდინაციის რეფორმის სამუშაო ჯგუფის წევრი უწყებები	2019, I			
		1.1.1.2 პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების **სახელმძღვანელო** დამტკიცებულია მთავრობის დადგენილებით				2019, I			
		1.1.1.3 მომზადებულია სახელმძღვანელოს დანართები - სარეკომენდაციო **ინსტრუქციები** უწყებებისთვის: - სიტუაციის ანალიზის ჩატარების ინსტრუქცია - მიზნების და ამოცანების ჩამოყალიბების და ლოგიკური ჩარჩოს შემუშავების ინსტრუქცია - ინდიკატორის განსაზღვრის და ინდიკატორის პასპორტის შემუშავების ინსტრუქცია - სამოქმედო გეგმის შემუშავების ინსტრუქცია - აქტივობის ხარჯის განსაზღვრის ინსტრუქცია - ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუქცია - ლექსიკონი				2019, I			
1.1.2	განახლებული მარეგულირებელი და მეთოდოლოგიური დოკუმენტების საფუძველზე საჯარო მოხელეებისთვის **პოლიტიკის დაგეგმვის და კოორდინაციის საბაზისო ტრენინგ მოდულის შემუშავება**	ტრენინგი განსაზღვრულია საჯარო მოხელეთათვის საბაზისო მოდულად	ტრენინგ მოდულის მასალები	მთავრობის ადმინისტრაცია	საჯარო სამსახურის ბიურო	2019, IV			
1.1.3	საჯარო მოხელეების გადამზადება განახლებული რეგულაციის და მეთოდოლოგიის შესაბამისად პოლიტიკის დაგეგმვის და კოორდინაციის საკითხებში	გადამზადებულია 100 საჯარო მოხელე	ტრენინგების დასწრების ფურცლები	მთავრობის ადმინისტრაცია	-	2020, III			
1.1.4	მთავრობაზე დასამტკიცებლად წარმოდგენილი პოლიტიკის დოკუმენტების არქივის წარმოება	სისტემატიზებულია მასალები წლების და უწყებების მიხედვით პოლიტიკის დოკუმენტების და მათზე გაცემული რეკომენდაციების შესახებ	პოლიტიკის დოკუმენტების მონაცემთა ბაზა	მთავრობის ადმინისტრაცია	-	2019 (I)			
1.1.5	მთავრობის პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტების ყოველწლიური გეგმის შემუშავება	ყოველწლიური გეგმა დამტკიცებულია მთავრობის დადგენილებით	საკანონმდებლო მაცნე	მთავრობის ადმინისტრაცია	პოლიტიკის დაგეგმვის და კოორდინაციის რეფორმის სამუშაო ჯგუფის წევრი უწყებები	2020 (I)			
1.1.6	სამინისტროებისთვის პოლიტიკის შემუშავების და კოორდინაციის პროცესის სტანდარტული საოპერაციო პროცედურების მომზადების კოორდინაცია	ყველა სამინისტროში შემუშავებულია პოლიტიკის შემუშავების და კოორდინაციის სტანდარტული საოპერაციო პროცედურების (SOP) დოკუმენტები	შემუშავებული სტანდარტული საოპერაციო პროცედურების დოკუმენტები	მთავრობის ადმინისტრაცია	ყველა სამინისტრო	2020, III			
1.1.7	სამინისტროებში პოლიტიკის შემუშავებასა და კოორდინაციაზე პასუხისმგებლობების და ფუნქციების შესახებ სამართლებრივი ჩარჩოს დახვეწა	ჩატარებულია ყველა სამინისტროს სტრუქტურის ანალიზი და აღნიშნულის შესაბამისად, შემუშავებულია სამინისტროების დებულებების ცვლილებები	სამინისტროების დებულებების ცვლილებები პროექტი	მთავრობის ადმინისტრაცია	პოლიტიკის დაგეგმვის და კოორდინაციის რეფორმის სამუშაო ჯგუფის წევრი უწყებები	2020, IV			

ამოცანა 1.2 — პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგის, ანგარიშგების და შეფასების სისტემის გაუმჯობესება შედეგზე ორიენტირებული მიდგომის და საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად

ამოცანის შედეგის ინდიკატორი	საბაზისო 2018:	სამიზნე 2020:	დადასტურების წყარო
1.2.1. მთავრობის მიერ დამტკიცებული სტრატეგიის განხორციელების **წლიური მონიტორინგის ანგარიშების წილი,** რომელიც აკმაყოფილებს პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების განახლებულ სახელმძღვანელოს მოთხოვნებს	N/A	75%	სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ყოველწლიური ანგარიში
1.2.2 მთავრობის მიერ დამტკიცებული სტრატეგიის განხორციელების შუალედური ან **საბოლოო შეფასების ანგარიშების წილი,** რომელიც აკმაყოფილებს პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების განახლებულ სახელმძღვანელოს მოთხოვნებს	N/A	70%	სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ყოველწლიური ანგარიში
1.2.3 მთავრობის მიერ დამტკიცებული სტრატეგიის განხორციელების წლიური მონიტორინგის ანგარიშების წილი, რომელიც გამოქვეყნებულია პასუხისმგებელი უწყებების ვებ-გვერდებზე	N/A	80%	სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ყოველწლიური ანგარიში
რისკები:	ადამიანური რესურსების ნაკლებობა; გადამზადებული კადრების გადინება		

N	აქტივობა	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	გადამოწმების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ვადა (წელი, კვ.)	ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო: სახელ. ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო: სხვა
1.2.1	პოლიტიკის მონიტორინგისა და შეფასების **სტანდარტების შემუშავება**	დამტკიცებულია **მონიტორინგის, ანგარიშგების და შეფასების ინსტრუქცია**	საკანონმდებლო მაცნე	მთავრობის ადმინისტრაცია	პოლიტიკის დაგეგმვის და კოორდინაციის რეფორმის სამუშაო ჯგუფის წევრი უწყებები	2019, I			
1.2.2	პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგის, ანგარიშგების და შეფასების ერთიანი ელექტრონული სისტემის შემუშავება	**1.2.2.1** შეთანხმებული კონცეფციის საფუძველზე შემუშავებულია ელექტრონული სისტემის ბიზნეს პროცესების აღწერის დოკუმენტი	ელექტრონული სისტემის ბიზნეს პროცესების აღწერის საბოლოო დოკუმენტი		-	2019. III			
		1.2.2.2 ბიზნეს პროცესების აღწერის საბოლოო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილია და ამოქმედებულია ელექტრონული სისტემა (პროგრამა)	ელექტრონული სისტემის ვებ-პორტალი		-	2020, I			
		1.2.2.3 ელექტრონული სისტემა ფუნქციონირებს გამართულად და ტექნიკური მხარდაჭერა უზრუნველყოფილია	ელექტრონული სისტემის ვებ-პორტალი		-	2020, IV			
1.2.3	ელექტრონული სისტემის მომხმარებლების გადამზადება	ჩატარებულია ტრენინგები და სისტემის მოხმარებაში გადამზადებულია 100 საჯარო მოხელე	ტრენინგებზე დასწრების ფურცელი	მთავრობის ადმინისტრაცია	პოლიტიკის დაგეგმვის და კოორდინაციის რეფორმის სამუშაო ჯგუფის წევრი უწყებები	2020, II			
1.2.4	განახლებული მარეგულირებელი და მეთოდოლოგიური დოკუმენტების საფუძველზე საჯარო მოხელეებისთვის პოლიტიკის მონიტორინგის, ანგარიშგების და შეფასების საბაზისო ტრენინგ მოდულის შემუშავება	ტრენინგი განსაზღვრულია საჯარო მოხელეთათვის საბაზისო მოდულად	ტრენინგ მოდულის მასალები						
1.2.5	საჯარო მოხელეების გადამზადება განახლებული რეგულაციის და მეთოდოლოგიის შესაბამისად პოლიტიკის მონიტორინგის, ანგარიშგების და შეფასების საკითხებში	გადამზადებულია 100 საჯარო მოხელე	ტრენინგების დასწრების ფურცლები	მთავრობის ადმინისტრაცია	-	2020, III			

ამოცანა 1.3 — საჯარო კონსულტაციების ხელშემწყობი მექანიზმების შემუშავება პოლიტიკის დოკუმენტების საზოგადოებასთან განხილვის წესის დამკვიდრების მიზნით

ამოცანის შედეგის ინდიკატორი	საბაზისო 2018:	სამიზნე 2020:	დადასტურების წყარო
1.3.1 მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენილი პოლიტიკის დოკუმენტების წილი, რომელთაც მარეგულირებელი და სახელმძღვანელო ჩარჩოს შესაბამისად გაიარეს საჯარო კონსულტაციები	N/A	60%	სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ყოველწლიური ანგარიში
რისკები:	ადამიანური რესურსის ნაკლებობა; საზოგადოების მხრიდან ინტერესის არ არსებობა.		

N	აქტივობა	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	გადამოწმების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ვადა (წელი, კვ.)	ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო: სახელ. ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო: სხვა
1.3.1	პოლიტიკის შემუშავების ეტაპზე საჯარო კონსულტაციების გამართვის სახელმძღვანელოს შემუშავება	სახელმძღვანელო დამტკიცებულია მთავრობის დადგენილებით	საკანონმდებლო მაცნე	მთავრობის ადმინისტრაცია	პოლიტიკის დაგეგმვის და კოორდინაციის რეფორმის სამუშაო ჯგუფის წევრი უწყებები	2020, III			
1.3.2	ელექტრონულ სისტემაში საჯარო კონსულტაციების გამართვის შესაძლებლობის ფუნქციონალის გაშვება	ელექტრონული სისტემის გამოყენებით მოქალაქეებს აქვთ შესაძლებლობა დააფიქსირონ მოსაზრება შემუშავების პროცესში მყოფ პოლიტიკის დოკუმენტთან დაკავშირებით.	ელექტრონულის სისტემის ვებ-პორტალი	მთავრობის ადმინისტრაცია	პოლიტიკის დაგეგმვის და კოორდინაციის რეფორმის სამუშაო ჯგუფის წევრი უწყებები	2020, IV			

ამოცანა 1.4 — მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის განხორციელების სისტემის ჩამოყალიბება, საკანონმდებლო აქტებზე რეგულირების გავლენის შეფასების დანერგვის გზით

ამოცანის შედეგის ინდიკატორი	საბაზისო 2018:	სამიზნე 2020:	დადასტურების წყარო
რეგულირების ზეგავლენის შეფასების (Regulatory Impact Assessment - RIA) საფუძველზე შემუშავებული მთავრობის მიერ ინიცირებული საკანონმდებლო პაკეტების წილი	0	5%	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წწ. სამოქმედო გეგმის შესრულების თვითშეფასების ანგარიში. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ ერთობლივად მომზადებული ანგარიში 2020 წ.
რისკები			

N	აქტივობა	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	გადამოწმების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ვადა (წელი, კვ.)	ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო: სახელ. ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო: სხვა
1.4.1.	საკანონმდებლო აქტების რეგულირების ზეგავლენის შეფასების შესახებ კანონპროექტის შემუშავება	საკანონმდებლო აქტების რეგულირების ზემოქმედების შეფასების შესახებ კანონპროექტი შემუშავებულია და მთავრობისთვის წარდგენილია	ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წწ. სამოქმედო გეგმის შესრულების თვითშეფასების ანგარიში	იუსტიციის სამინისტრო; მთავრობის ადმინისტრაცია		2019, III კვ.			
1.4.2.	საკანონმდებლო აქტების რეგულირების ზეგავლენის შეფასების სახელმძღვანელო მეთოდოლოგიის შემუშავება	**1.4.2.1.** საკანონმდებლო აქტების რეგულირების ზეგავლენის შეფასების სახელმძღვანელო მეთოდოლოგია შემუშავებულია	ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წწ. სამოქმედო გეგმის შესრულების თვითშეფასების ანგარიში	იუსტიციის სამინისტრო; მთავრობის ადმინისტრაცია		2019, IV კვ.			
		1.4.2.2. საკანონმდებლო აქტების რეგულირების ზეგავლენის შეფასების სახელმძღვანელო მეთოდოლოგია მთავრობისთვის განსახილველად წარდგენილია				2020, I კვ.			
1.4.3.	საკანონმდებლო აქტების რეგულირების ზეგავლენის შეფასების შესახებ აღმასრულებელი ხელისუფლების სამართალშემოქმედებაზე პასუხისმგებელი პირების გადამზადება და ცნობიერების ამაღლება	ჩატარებულია ტრენინგები და გადამზადებულია 50 საჯარო მოხელე	ტრენინგების დასწრების ფურცელი	იუსტიციის სამინისტრო; იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრი; მთავრობის ადმინისტრაცია		2019, IV კვ. - 2020 IV კვ.			